კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Bachelor's Program in Sociology
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	**0314**
ქართულად:	სოციოლოგიის ბაკალავრი
ინგლისურად:	Bachelor of Sociology
პროგრამის დამტკიცების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2012 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით 01/01-33.
პროგრამის განახლების თარიღი	განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2024 წლის 31 ივლისის N01/01-49 ბრძანებით.
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	სოციოლოგიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი ფლორა ესებუა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრ.საათს).

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

მოცემულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლების მეოთხე წელს პროგრამა აძლევს საშუალებას, რომ აირჩიოს დარგობრივი და პროფესიული კურსები; ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს თავისუფალი კრედიტები (არაუმეტეს 10 ECTS კრედიტისა), რათა გაიღმავოს ცოდნა მისი ინტერესის შესაბამისად.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. აქედან 130 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს:

- 100 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო საგნებს;
- 30 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის არჩევით საგნებს.

110 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალ კომპონენტებს:

- 50 ECTS კრედიტი ეთმობა ზოგადსაუნივერსიტეტო და სპეციალობის დამხმარე საგნებს;
- 50 ECTS კრედიტი ეთმობა უცხო ენებს (30 ECTS - ინგლისური ენა, 20 ECTS - მეორე უცხო ენა);
- 10 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალ კრედიტებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	

- სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	სოციოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტი და კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას; სტუდენტთა მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მობილობისათვის, შრომის ბაზრის დაკომპლექტებას ზოგადსაკაცობრიო პრინციპების, ფასეულობების, დემოკრატიული ღირებულებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრებით. **სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:** • სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი თავისებურებების, სოციალური სტრუქტურების და ინსტიტუტების, ზოგადსოციოლოგიური პრინციპების, ღირებულებების, აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებრივი თანაცხოვრების წინააღმდეგობებისა და განვითარების სამომავლო ტენდენციების შესახებ; • უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სოციოლოგიურ თეორიებს, დარგობრივ სოციოლოგიებსა და სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში არსებული საბაზისო ცოდნის დაუფლება და მის საფუძველზე ემპირიული, კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევების გამომუშავება; • კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ეთიკური პრინციპების გაცნობიერების, კომუნიკაციის, ინდივიდუალურად და გუნდურად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.
პროგრამის სწავლის შედეგები	სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. პროგრამა სწავლის შემდეგ შედეგებზე გადის: **სწავლის შედეგი 1** ავლენს სოციოლოგიის სფეროს სისტემურ და საფუძვლიან ცოდნას: ✓ აღწერს სოციოლოგიის შესწავლის საგანსა და სხვადასხვა თეორიული მიდგომებს; ✓ კრიტიკულად იაზრებს სოციოლოგიის თეორიებსა და პრინციპებს, აზროვნებს აბსტრაქტულად; ✓ პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გაანალიზებისათვის არჩევს შესაბამისი თეორიულ მიდგომას; ✓ მსჯელობს სოციოლოგიის სხვადასხვა დარგისთვის დამახასიათებელ პრობლემებსა და გამოწვევებზე. **სწავლის შედეგი 2** გეგმავს და ატარებს კვლევას წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად. ✓ ახდენს პრობლების იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს კვლევის მიზანს, ამოცანებსა და კვლევის რელევანტურ მეთოდს; ✓ ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით გეგმავს კვლევას და აგროვებს მონაცემებს; ✓ ამუშავებს და აანალიზებს მონაცემებს. **სწავლის შედეგი 3** აზროვნებს კრიტიკულად და აანალიზებს ინფორმაციას.

	✓ ახდენს გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათ გადასაჭრელად იყენებს სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს; ✓ იძიებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, გადაამუშავებს და აანალიზებს მათ; ✓ აფასებს პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების ძლიერ და სუსტ მხარეებს; ✓ პოულობს საუკეთესო გადაწყვეტილებას შესაბამისი დასაბუთებით. **სწავლის შედეგი 4** წარმართავს დისკუსიას და წარმოადგენს პრეზენტაციას სოციოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. ✓ წარმართავს დისკუსიას სხვადასხვა თემაზე და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს; ✓ ამზადებს კვლევითი თუ ანალიტიკური პროექტის შედეგების ანგარიშს: ✓ საჯაროდ წარადგენს საკუთარ მოსაზრებებს თუ კვლევითი/ანალიტიკური პროექტების შედეგებს. **სწავლის შედეგი 5** კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად საკმარის თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ✓ ავლენს შესაბამისი პროფესიული და სამეცნიერო ლიტერატურის ასათვისებლად, აკადემიური კომუნიკაციისა და სამუშაო საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელ თორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; ✓ ავლენს პროფესიული და სამეცნიერო წერითი და ვერბალური ეფექტური კომუნიკაციის უნარებს; ✓ გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ამოცანებს სამუშაო ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.
დასაქმების სფეროები	სოციოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის სოციოლოგს საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი, პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციებს, ფირმებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საკონსულტაციო-ანალიტიკურ ცენტრებსა და კომპანიებს შეიძლება დასჭირდეს. უფრო კონკრეტულად სოციოლოგიის ბაკალავრს შეეძლება დასაქმდეს: განათლების, პოლიტიკის, ეკონომიკის, მედიცინის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში მკვლევარ-ანალიტიკოსად; მარკეტინგისა და პიარ-კომპანიებში, იმიჯ-ცენტრებში; მედიისა და კომუნიკაციების სფეროში, სარეკლამო სააგენტოებში; არტ-სააგენტოებში და არტ-ბიზნესის სფეროში; საგამომცემლო ბიზნესში; სოციოლოგიური და ანალიტიკური კვლევის ცენტრებში; სხვადასხვა ორგანიზაციების მართვისა და მენეჯმენტის სფეროში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, კანონით დადგენილი წესისამებრ.

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი
				I		II		III		IV		
				ECTS კრედიტი								
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
თავისუფალი კომპონენტი - 110 ECTS კრედიტი												
ზოგადსაუნივერსიტეტო და ძირითადი სპეციალობის დამხმარე სასწავლო კურსები (სავალდებულო)				**20**	**20**	**5**			**5**			**50**
1	PHIL 0005	არ გააჩნია	ფილოსოფია	5								5
2	PSYC 0006	არ გააჩნია	შესავალი ფსიქოლოგიაში	5								5
3	ACWR 0007	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5								5
4	CSC 1160	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5								5
5	CA 1260	არ გააჩნია	კლასიკური ანთროპოლოგია		5							5
6	HIST 0003	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია		5							5
7	DEM 1261	არ გააჩნია	დემოკრატია და მოქალაქეობა		5							5
8	EU 1261	არ გააჩნია	ევროპეიზაციის სოციოლოგიური პერსპექტივა		5							5
9	SPSY 2160	PSYC 0006	სოციალური ფსიქოლოგია			5						5
10	DAE 3260	CSC 1160	მონაცემთა ანალიზი MS Excel-ის გამოყენებით						5			5
ზოგადი ინგლისური ენა (სავალდებულო)				**5**	**5**	**5**	**5**					**20**
11	ENGL 0005/ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5								5

12	ENGL 0006/ENGL 0008	ENGL 0005/ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5							5
13	ENGL 0007/ENGL 0009	ENGL 0006/ENGL 0008	B2.0 ზოგადი ინგლისური/ C 1.0 ზოგადი ინგლისური			5						5
14	ENGL 0008/ENGL 0010	ENGL 0007/ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5					5
პროფესიული ინგლისური (სავალდებულო)								**5**	**5**			**10**
15	ENGS 0160	ENGL 0008	PT 1 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები)					5				5
16	ENGS 0260	ENGS 0160	PT 2 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები)						5			5
მეორე უცხო ენა (სავალდებულო)						**5**	**5**	**5**	**5**			**20**
17	FREN/GERM/ESP/ITA 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0			5						5
18	FREN/GERM/ESP/ITA 0002	FREN/GERM/ESP/ITA 0001	მეორე უცხო ენა A1				5					5
19	FREN/GERM/ESP/ITA 0003	FREN/GERM/ESP/ITA 0002	მეორე უცხო ენა A2.0					5				5
20	FREN/GERM/ESP/ITA 0004	FREN/GERM/ESP/ITA 0003	მეორე უცხო ენა A2						5			5
ზოგადი არჩევითი სასწავლო კურსები											10	10
21	HR 4260	არ გააჩნია	ადამიანის უფლებები								5	5
22	TM 4260	არ გააჩნია	ტრენინგის მართვა								5	5
23	IMC 4260	არ გააჩნია	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები								5	5
24	PR 4260	არ გააჩნია	საზოგადოებასთან ურთიერთობა								5	5
25	MSL 4260	არ გააჩნია	მართვის უნარები და ლიდერობა								5	5
26	PPM 4260	არ გააჩნია	პროექტის დაგეგმვა და მართვა								5	5

27	ASCT 4260	არ გააჩნია	სისტემური და კრიტიკული აზროვნების ხელოვნება								5	5
28	FREE 0001	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი								5	5
29	FREE 0002	არ გააჩნია	თავისუფალი კრედიტი								5	5
ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი - 130 ECTS კრედიტი												
სოციოლოგიური თეორიები (სავალდებულო)				**5**	**5**	**5**	**5**	**5**				**25**
30	ISOC 1160	არ გააჩნია	სოციოლოგიის შესავალი	5								5
31	PST 1260	არ გააჩნია	პროტოსოციოლოგიური თეორიები		5							5
32	CST 2160	PST 1260 / ISOC 1160	კლასიკური სოციოლოგიური თეორიები			5						5
33	MST 2260	CST 2160	თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები				5					5
34	PMST 3160	MST 2260	გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები					5				5
სოციოლოგიური კვლევის მეთოდები (სავალდებულო)						**10**	**10**	**10**		**10**		**40**
35	SSS 2160	ISOC 1160	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებში			5						
36	QLRM 2160	ISOC 1160	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I			5						5
37	QLRM 2260	QLRM 2160	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II				5					5
38	QNRM 2260	QLRM 2160	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I				5					5
39	QNRM 3160	QNRM 2260	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II					5				5
40	SPSS 3161	QSRM 2260 / SSS 2160	SPSS პროგრამა					5				5
41	RPP 4160	QLRM 2260 / QNRM 3160 / SPSS 3161	კვლევითი პროექტის მომზადება							10		10
დაგრობრივი სოციოლოგია (სავალდებულო)							**5**	**5**	**15**		**10**	**35**
42	SSC 2260	ISOC 1160	სოციალური ცვლილებების სოციოლოგია				5					5
43	SC 3161	ISOC 1160	კულტურის სოციოლოგია					5				5
44	PS 3260	ISOC 1160	პოლიტიკის სოციოლოგია						5			5

45	SR 3260	SC 3160	რელიგიის სოციოლოგია						5			5
46	SH 3260	ISOC 1160	ჯანმრთელობის სოციოლოგია						5			5
47	THES 4260	ACWR 1160/RPP 4160	საბაკალავრო ნაშრომი								10	10
დარგობრივი სოციოლოგია (არჩევითი)										20	10	30
48	WMSG 4160	ISOC 1160	ქალთა მოძრაობები და გენდერის სოციოლოგია: თანამედროვე კვლევები							5		5
49	NM 4160	ISOC 1160	ახალი მედია (კიბერ სივრციდან სოციალურ მედიამდე)							5		5
50	GST 4160	ISOC 1160	გლობალური სოციალური ტრანსფორმაციები							5		5
51	DEM 4160	არ გააჩნია	დემოგრაფია							5		5
52	ICC 4160	SC 3160	ინტერკულტურული კომუნიკაცია							5		5
53	IM 4160	ISOC 1160	საერთაშორისო მიგრაცია: ინტერდისციპლინური კვლევები							5		5
54	NE 4160	ISOC 1160	ნაციონალიზმი და ეთნოსი							5		5
55	SS 4161	ISOC 1160	სუბკულტურების სოციოლოგია							5		5
56	VS 4260	ISOC 1160	ვიზუალური სოციოლოგია								5	5
57	SA 4260	ISOC 1160	ხელოვნების სოციოლოგია								5	5
58	CS 4260	ISOC 1160	დანაშაულის სოციოლოგია								5	5
59	SM 4260	ISOC 1160	მედიის სოციოლგია								5	5
60	ES 4260	ISOC 1160	ეკონომიკის სოციოლგია								5	5
61	SE 4260	ISOC 1160	განათლების სოციოლოგია								5	5
ECTS კრედიტები			**სემესტრში**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	
			წელიწადში	**60**		**60**		**60**		**60**		
საგნების\მოდულების რაოდენობა წელიწადში				**12**		**12**		**12**		**11**		